ახალგაზრდული ჯგუფების საქმიანობა

- ჩატარდა 110-მდე კამპანია;
- 7 მინი-ვიქტორინა;
- ჩატარდა 96 საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრა;
- 1545 ახალგაზრდა დარეგისტრირდა მოხალისედ.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" ახალგაზრდული ქსელი

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის"ახალგაზრდული ქსელი მოიცავს საერთო ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებულ ახალგაზრდებს: მოხალისეებს, აქტივისტებს, ახალგაზრდულ ჯგუფებს. ქსელს აქვს საკუთარი Facebook ჯგუფი, სახელწოდებით „ალუმნების ქსელი".

სივრცე საუკეთესო საშუალებაა თვითრეალიზაციისა და პიროვნული განვითარებისთვის, ძველ და ახალ წევრებს შორის გამოცდილების, ცოდნის, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისა და საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის.

ახალგაზრდული ინოვაციური კეთილგანწყობილი სერვისები

იურიდიული კონსულტანტის, სოციალური მუშაკისა და ექიმ-რეპროდუქტოლოგის ონლაინ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე დარეკვით: 0322 011 221, აგრეთვე სერვისის მიღება შესაძლებელია პლატფორმაზე - youth-counseling.ge

ონლაინ სასწავლო კურსი თანასწორ-განმანათლებელთა და არაფორმალურ განათლების მუშაკთათვის „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში"

არაფორმალური განათლების სახელმძღვანელო „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში"

საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები ახალგაზრდებისთვის

TOT -ტრენინგები თანასწორ-განმანათლებლებისთვის

SELF ბანაკი

გახდი მოხალისე და მიიღე

- ✓ პროფესიული ზრდა;
- ✓ სამუშაო გამოცდილება;
- ✓ საზოგადოებრივი ცნობადობა;
- ✓ შემდგომი თაობებისთვის გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა;
- ✓ დასაქმების პერსპექტივა;
- ✓ ცოდნა;
- ✓ საზოგადოებრივი ცნობადობა და ქსელური კავშირები;
- ✓ რესურსები სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე.

1998 წლიდან „ჰერა ოცდაერთი" აქტიურად მუშაობს სექსულური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში. კვლევითი საქმიანობა, მონიტორინგი, ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება არის ძირითადი საქმიანობა პროგრამების იმპლემენტაციისთვის.

ქსელები და პლატფორმები:

https://www.facebook.com/AssociationHeraXXI

https://www.instagram.com/hera_xxi_youth

https://twitter.com/assosiationhera

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი გამსახურდიას გამზირი, II კორპუსი, შენობა 9, ბინა №2

xxihera@gmail.com

+995 32 14 28 51; 032 20 11 221

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ახალგაზრდებისთვის

ჩვენი ღირებულებებია:

- ✓ უფლებები
- ✓ გენდერული თანასწორობა
- ✓ ინოვაცია
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ ახალგაზრდებისა და მოხალისეთა ჩართულობა

HERA-YOUTH.GE

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი" ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა, მათი ჩართულობა და ახალგაზრდული აქტივიზმის გაძლიერება მოხალისეობაზე დაფუძნებული არასამთავრობო ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" სტრატეგიული მიმართულებაა.

ასოციაცია ხელს უწყობს ქვეყანაში მოხალისეთა მოძრაობის გაძლიერებას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების რეალიზებას: ადვოკატირებით, ფორმალური და არაფორმალური განათლებით, ახალგაზრდული კეთილგანწყობილი სერვისების მიწოდებით, რათა საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ ყოვლისმომცველი ცოდნა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, შეეძლოთ გააკეთონ თავისუფალი, ინფორმირებული არჩევანი, რაც უზრუნველყოფს მომავალი თაობის კეთილდღეობას და პროგრესული, ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებას.

„ეს ის ადგილია, სადაც სწავლობ ურთიერთობებს, იძენ მეგობრებს და თანატოლებთან ერთად მუშაობ ისეთ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას."

თათია თათოშვილი

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" აქტივისტი

რატომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ?

სახელმწიფო ახალგაზრდული დოკუმენტის თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები ფლობდნენ ინფორმაციას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების -

სრჯუ საკითხების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის აბორტებისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შემცირებას, ნაადრევი ორსულობის და მასთან დაკავშირებული რისკების, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

15-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში აბორტების ჯამური რიცხვი შეადგენს 10,243, რაც აბორტების საერთო მაჩვენებლის 45.9%-ია.

15-29 წლის ახალგაზრდების 89%-ს სმენია აივ/შიდსის შესახებ, თუმცა, მათგან მხოლოდ 17.4 %-ს აქვს სწორი ინფორმაცია, თუ როგორ გადადის ინფექცია.

მიზნობრივი ჯგუფები:

- მოზარდები და ახალგაზრდები;
- სტუდენტები;
- სოფლად მცხოვრები გოგონები და ბიჭები;
- დევნილი და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები;
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდები და ახალგაზრდები;
- სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები;
- ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები ახალგაზრდები.

მიღწევები

მოხალისეობრივად ორგანიზაციაში ჩართულია 1545 მოხალისე
268 აქტივისტია ჩართული ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ აქტივობებში
669 თანასწორგანმანათლებელი გადამზადდა და ჩატარდა 5295 სესიაზე მეტი
გადამზადდა 6 მენტორი, 45 მენტია, 4 სოციალური მედია კომუნიკაციების ასისტენტი

სრჯუ საკითხებში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია პროცესში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა და მხარდაჭერა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

„ჩვენმა ასოციაციამ მომცა სითამამე, აქტიურად მესაუბრა სრჯუ უფლებებზე. აქ გავიცანი ნამდვილად საოცარი ადამიანები. „ჰერა ოცდაერთი" დამეხმარა ისეთი უნარების განვითარებაში, როგორებიცაა: საჯაროდ გამოსვლა, ლიდერობა და მენტორობა. ამასთანავე, შევიძინე გამოცდილება, რომელიც დამეხმარება კარიერული თუ პროფესიული თვალსაზრისით."

ანა ჯავახაძე,

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" ქუთაისის ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერი

ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ახალგაზრდების ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე, რადგან მათ უკეთ შეუძლიათ თავიანთი თაობის და თემის აქტუალური საკითხების გაანალიზება და საკუთარ საჭიროებებებზე მორგებული ინიციატივების შემოთავაზება პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად.

ახალგაზრდული ჯგუფების ამოცანაა - ისმოდეს ახალგაზრდების ხმა ყველა დონეზე, რათა ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების ჩართულობას, საჭიროებების გამოვლენიდან - საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" ბაზაზე ექვსი ახალგაზრდული ჯგუფი საქმიანობს: თბილისში, ხობში, ქუთაისში, ახალციხეში, აფხაზეთსა და წეროვანში.

ახალგაზრდები ჩართულნი არიან ასოციაციის საქმიანობაში, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო-საგანმანათლებლო თუ გასართობ-შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

2020 წელს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა" დანერგა ახალგაზრდებზე ორიენტირებული მიდგომა (YCA), რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას ორგანიზაციის საქმიანობის ყველა დონეზე. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ჩამოყალიბდა მენტორთა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის გამოცდილ და ახალ წევრებს შორის კომუნიკაციასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

„ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდულმა ჯგუფებმა, მთელი წლის განმავლობაში, უამრავი ღონისძიება განახორციელეს, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ, პანდემიის პირობებში, არსებული ვითარების გათვალისწინებით."

სოსო ფხაკაძე

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" თანასწორგანმანათლებელი

ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის წევრის სტატუსით, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტსა და ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დოკუმენტი 2020-2030 წლებისთვის" და „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2025", რომელშიც ასახულია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზნები და ამოცანები.